



საქართველოს უნივერსიტეტის

სტუდენტებისა და პერსონალის

დაგეგმვის მეთოდოლოგია

### **აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია**

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საუნივერსიტეტო სკოლები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე ითვალისწინებს სტუდენტთა არსებულ და მისაღებ რაოდენობებს, რომლის სამიზნე ნიშნულებად ადგენს შემდეგ თანაფარდობებს:

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით არ აღემატება 1/20;
- აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან მიმართებით მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არ აღემატება 1/7;
- აფილირებული აკადემიური პერსონალთან მიმართებით სტუდენტების ზღვრულ რაოდენობის თანაფარდობა არ აღემატება 1/75.

### **სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის და დაგეგმვის მეთოდოლოგია**

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიას რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებს და ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამის სპეციფიკას.

### **სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის და დაგეგმვის კომპონენტები:**

#### **ადამიანური რესურსი**

- აკადემიური / სამეცნიერო / აფილირებული / მოწვეული პერსონალის და სტუდენტთა კონტიგენტის თანაფარდობა არ აღემატება 1/20
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით 1/6
- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მიმართებით 1/7
- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან 1/75
- ნაშრომის ხელმძღვანელის და დოქტორანტი სტუდენტთა თანაფარდობა 1 / 4

### **აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა**

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის 25 % გულისხმობს სამეცნიერო აქტივობას. ხოლო 75 % კი პედაგოგიურ დატვირთვას.
- კვირაში აკადემიური პერსონალის დატვირთვა ჯამურად 40 საათია, აქედან მაქსიმუმ 20 საათი ეთმობა ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობების და სტაჟირებების ჩატარებას, 10 საათი კი ეთმობა ლექციის მომზადებას, ქვიზების და გამოცდების მომზადება-შემოწმებას. ხოლო 10 საათი სამეცნიერო მუშაობას.
- მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა გულისხმობს კვირაში არაუმეტეს 40 საათს, რაც მოიცავს როგორც სალექციო/პრაქტიკის/სტაჟირების საათებს ასევე მის მომზადება-ჩატარებას, ქვიზების და გამოცდების მომზადება-შემოწმებას.